შეზღუდული პასუხიმგებლობის

საზოგადოება

შპს გლორია ჯინს ჯორჯია ს/კ 406286095

# ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

# 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

შინაარსი:

.ზოგადი ინფრომაცია
.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი
 სააღრიცხვო პოლიტიკა
.ძირითადი საშუალებები
იჯარა
კაპიტალი

## ფინანსური მდგომარეობა

| ფინანსური მდგომარეობა | 31/12/2023 | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 32093 | 20341 | 23744 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 275642 | 2581 | 2707 |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები | 65760 | 290807 | 743989 |
| მარაგები | 119448 | 638538 | 25626 |
| მზა პროდუქცია | 0 | 0 | 0 |
| სხვა | 119448 | 638538 | 25626 |
| საინვესტიციო ქონება | 0 | 0 | 0 |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები | 19367 | 0 | 0 |
| ბიოლოგიური აქტივები | 0 | 0 | 0 |
| თვითღირებულების  მოდელით | 0 | 0 | 0 |
| გადაფასების მოდელით | 0 | 0 | 0 |
| გუდვილი | 0 | 0 | 0 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | 2092 | 0 | 0 |
| ძირითადი საშუალებები | 545545 | 546446 | 316431 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | 0 | 0 | 0 |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში | 0 | 0 | 0 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | 0 | 0 | 0 |
| სულ აქტივები | 1059947 | 1498713 | 1112497 |
| **ვალდებულებები** | | | |
| საიჯარო ვალდებულება | 23965 | 2837 | 0 |
| სავაჭრო ვალდებულებები | 1534852 | 795568 | 242723 |
| ანარიცხები | 0 | 0 | 0 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 7076 | 100411 | 6192 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 0 | 0 | 0 |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი | 0 | 0 | 0 |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები | 0 | 0 | 0 |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები | 0 | 1575537 | 1575537 |
| მიღებული გრანტები | 0 | 0 | 0 |
| სხვა ვალდებულებები | 24743 | 251 | 3031 |
| სულ ვალდებულებები | 1590636 | 2474604 | 1827483 |

**საკუთარი კაპიტალი**

| | | | |
|---|---|---|---|
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 3470692 | 1855192 | 1204358 |
| საემისიო შემოსავალი | 0 | 0 | 0 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | 0 | 0 | 0 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | -4001381 | -2831083 | -1919344 |
| გადაფასების რეზერვი | 0 | 0 | 0 |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები | 0 | 0 | 0 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | -530689 | -975891 | -714986 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | 1059947 | 1498713 | 1112497 |
| სულ მოკლევადიანი აქტივები | 512310 | 1 | 1 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | 1590636 | 0 | 0 |

შპს „გლორია ჯინს ჯორჯიას “ სახელით
დირექტორი აჰმედ თალჰა თუნჯერ

**საქმიანობის შედეგები**

| **საქმიანობის შედეგები** | **31/12/2023** | **31/12/2022** |
|---|---|---|
| ნეტო ამონაგები | 2466352 | 1797211 |
| საქონლის გაყიდვიდან | 2466352 | 1797211 |
| მომსახურების გაწევიდან | 0 | 0 |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | 0 | 0 |
| სხვა | 0 | 0 |
| გაყიდვების თვითღირებულება | -1463820 | -445441 |
| საწყისი მარაგები | 0 | 0 |
| მარაგების შესყიდვა | 0 | 0 |
| გადამუშავების დანახარჯები | 0 | 0 |
| საბოლოო მარაგები | 0 | 0 |
| საერთო მოგება | 1002532 | 1351770 |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 26137 | 0 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | -763697 | -719434 |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი | -46446 | -38148 |
| საპროცენტო შემოსავალი | 0 | 17389 |
| საპროცენტო ხარჯი | 0 | -25128 |
| იჯარის ხარჯი | -527724 | -611008 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -634885 | -887180 |
| სულ საოპერაციო ხარჯები | -1946615 | -2263509 |
| საოპერაციო მოგება | -944083 | -911739 |
| **გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:** | | |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა | 0 | 0 |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | 2528 | 0 |
| მიღებული დივიდენდები | 0 | 0 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი) | -14482 | 0 |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | -956037 | -911739 |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 0 | 0 |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი | -956037 | -911739 |
| **სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):** | | |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი | 0 | 0 |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) | 0 | 0 |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ: | 0 | 0 |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) | -956037 | -911739 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | -975891 | -714986 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა') | 1401240 | 658419 |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | 0 | 0 |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | 0 | 0 |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | 0 | -7585 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | -530688 | -975891 |

შპს „გლორია ჯინს ჯორჯიას “ სახელით
დირექტორი აჰმედ თალჰა თუნჯერ

შპს გლორია ჯინს ჯორჯია
Gloria Jeans
406286095
GLORIA JEANS GEORGIA LLC

**ფულადი სახსრების მოძრაობა**

| **ფულადი სახსრების მოძრაობა** | **31/12/2023** | **31/12/2022** |
|---|---|---|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 88817 | -3403 |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | -79593 | 0 |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 0 | 0 |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) | 9224 | -3403 |
| ვალუტის  კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | 2528 | 0 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 20341 | 23744 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 32093 | 20341 |

შპს „გლორია ჯინს ჯორჯიას “ სახელით
დირექტორი აჰმედ თალჰა თუნჯერ

განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გლორია ჯინს ჯორჯია , შეზღუდული პასუხიმგებლობის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2019 წელს. საწარმოს იურიდიული მისამართი საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, პატარძეულის ქუჩა 22/11. საწარმოს დამფუძნებლები არიან თურქეთის მოქალაქე ფიზიკური პირები:

ჯუნეიდ ერ პ/ნ 27553969950 – 38.5%
მუსტაფა თუნჯერ პ/ნ 21590061936 – 61.5%

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები. საწარმო ფულადი სახსრებს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს.შესაბამისად, საწარმოს სამუშაო
ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში.

<u>ფული და ფულის ეკვივალენტები</u>

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

<u>სავაჭრო მოთხოვნები</u>

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი საქონლის მიწოდების შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან აქტივებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული არსებული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით

წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

.სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ

სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

მარაგების თვითღირებულება - შეძენასთან დაკავშირებული დანახარჯები, აგრეთვე ის დანახარჯები, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო, საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანომ კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის და უშუალოდ მარაგების შეძენასთან დაკავშირებულ სხვა დანახარჯებს. სავაჭრო ფასდაკლება და სხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშება.

ძირითადი საშუალებები

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში ერთიანდება მომხმარებლებისთვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის ან საქონლის მოწოდების შედეგად. თუ სავაჭრო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი

ვალებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან ვალდებულებებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ხარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

## დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები და პრემიები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

## გადასახადები

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო და საკრედიტო ორგანიზაციები, და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან (ე.წ. "ესტონური", მოდელი).ახალიმოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების ან სხვა ფორმით. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკურისარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

## დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია

განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის" საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით).

იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის მიწოდებიდან ან/და მომსახურების გაწევიდან მაშინ აღიარდება, რო დესაც კლიენტისთვის ხდება საქონლის/მომსმახურების მიწოდება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რეალიზაციასთან დაკავშირებული არაპირდაპირი გადასახადების გამოკლებით.

თვითღირებულების აღიარება

გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში შემავალი ხარჯების აღიარება ხდება მაშინ, როცა საწარმო იღებს შემოსავალს მოცემული პროდუქციის გაყიდვიდან. გაყიდული საქონლის თვითღირებულებაში შემავალი კომპონენტები ამ საქონლის რეალიზაციასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯია (მაგ. თავად საქონლის ღირებულება, პირდაპირი ხელფასები, მიწოდების ხარჯები ა.შ.).

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგების/ დაუფარავი ზარალის  და დამფუძნებლის შენატანისაგან.

შპს „გლორია ჯინს ჯორჯიას “ სახელით

დირექტორი აჰმედ თალჰა თუნჯერ